ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გამეთის გადამლით დაიწყეთ...“

საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №220 (4279) ხუთშაბათი, 12 სექტემბერი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

ტრაგედიის წლისთავი

„ბოროგსა სძლია კეთილმა“...

11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განსორციელებული ტერორისტული აქტების მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად თბილისში, 9 თებერვლის ბაღში ცნობილი ქართველი ხელოვანის ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი მემორიალი გაიხსნა. მემორიალი ნიუ-იორკში გაეროს შენობის წინ აღმართული სკულპტურის „ბოროგსა სძლია კეთილმა“ შემცირებული მოდელია. აღსანიშნავია, რომ გაეროს ემოში ეს ქანდაკება საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივითა და პირადი თხოვნით დაიდგა. ამ სკულპტურებზე წმინდა გიორგი ხმლით ხელში სიმბოლურად ბოროტებას, ანუ ურჩხულს ამარცხებს. მემორიალი დამზადებულია შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა და ამერიკული რაკეტების ნაწილებისაგან.

იხ. მე-3 გვ.

ამერიკამ პატივი მიაგო 11 სექტემბრის მსხვერპლთა ხსოვნას

ბუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 11 სექტემბერს ტერორისტული აქტის შედეგად დაღუპული ადამიანების ხსოვნას.

საყოველთაო დუმილმა აშშ მოიცვა ნიუიორკის დროით შუსტად 8 საათსა და 46 წუთზე, როცა ტერორისტების მიერ გატაცებული „ბოინგი“ შეეჯახა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის პირველ კორპუსს.

პოლიციელთა და მეხანძრეთა რაზმებმა მოაწყვეს მსვლელობა „ნულოვანი ნიშნულის“, ანუ „დირსების წრის“ მიმართულებით, სადაც ერთი წლის წინათ ორი ცოცხმაჯანი იდგა.

ამის შემდეგ ტერორისტული აქტის შედეგად დაღუპულთა ნათესავებმა და ახლობლებმა წაიკითხეს იმ 2801 ადამიანის გვარი, რომლებიც ამ ვანდალიზმს შეეწირნენ.

პრეზიდენტმა ბუშმა მოინახულა ოთხივე თვითმფრინავის დაღუპვის ადგილები.

ხსოვნის დღე დასრულდა ნიუ-იორკში პრეზიდენტის მიმართვით ამერიკელი ხალხისადმი.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

ედუარდ შევარდნაძე: „პანიკისა და განგაშისთვის საფუძველს ვერ ვხედავ. არა მგონია, რუსეთი ისეთ ავანტიურაზე წავიდეს, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიოს თვალში მის მორალურ და ფსიქოლოგიურ დამარცხებას მოასწავებს“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის კომენტარი რუ პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებასთან დაკავშირებით 2002 წლის 11 სექტემბერს

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გამოეხმაურა 11 სექტემბერს, სოჭში, რუსეთის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებთან თათბირზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც საქართველოს საზღვართან რუსეთის მოქმედებას შეეხება.

საქართველოს პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას, კერძოდ, განაცხადა:

„ალბათ, დრო დასჭირდება ამ განცხადებაზე საფუძველიანი კომენტარის გაკეთებას. სულ ერთი საათია, რაც წავიკითხე პრეზიდენტ პუტინის განცხადება. მიმაჩნია, რომ ამ განცხადების ძირითადი ნაწილი ობიექტურად არ ასახავს სიტუაციას. ძალიან მიკერძოებულად და ცალმხრივად არის გაშუქებული ის პრობლემები, რომლებიც რეალურად აწუხებთ რუსეთსა და საქართველოს ჩეჩნეთთან დაკავშირებით.

იხ. მე-2 გვ.

თანადგომა

მის აღმატებულებას ჯორჯ უოკერ ბუშს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

პმპრშასრ ბაბონო
პრეზიდენტო,

არ შემეძლო თქვენთვის არ მომმართა ყოველი ჩვენგანისთვის ამ გრაგიკულ დღეს. მეგობარი ამერიკელი ხალხის დიდი მწუხარება თითოეულ ჩვენგანის მწუხარებაცაა.

საქართველო საკუთარ თავზე ცდის ტერორიზმის უმძიმეს შედეგებს, მისი მასაბრდოებელი წყაროების, მათ შორის აგრესიული სეპარატიზმის გავლენას.

ტერორიზმის შედეგების დაძლევამი ფასდაუდებელია თქვენი დიდი ქვეყნის გადამწყვეტი დახმარება. მსურს კვლავ დაგარწმუნოთ, რომ საქართველო პირნათლად შეასრულებს ანტიტერორისტული კოალიციისადმი აღებულ ვალდებულებებს და ამოძირკვავს ტერორიზმის ფესვებს საკუთარ ტერიტორიაზე.

ჩემი მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე ბევრი ნგრევისა და უბედურების მოწმე გავმხდარვარ, მათ შორის — ათწლიანი ომით მიწასთან გასწორებულ ავღანეთში, მაგრამ არსად მინახავს ხალხი ისე ერთ მუშტად შეკრული, როგორც ამერიკაში 11 სექტემბრის შემდეგ. რის მოწმეც თავად გავხდი გასული წლის ოქტომბერში.

საქართველო ფართოდ აღნიშნავს 11 სექტემბრის წლისთავს. დაგეგმილია მთელი რიგი ღონისძიებები. 11 სექტემბრის მსხვერპლთა ხსოვნის სახელი მიენიჭა თავდაცვის სამინისტროს სასწავლო ცენტრის პოლიგონს, რომელზეც ქართველი ჯარისკაცები „ეწრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით ეუფლებიან ანტიტერორისტული ბრძოლის ხელოვნებას.

ამერიკამ უკვე დაანახა ყველას, რომ 11 სექტემბრის მსხვერპლი ამაო არ ყოფილა. ამერიკის გარშემო დარაზმულმა ცივილიზებულმა მსოფლიომ უკვე მიაყენა სერიოზული დარტყმა ბნელეთის ძალებს. მაგრამ წინ კიდევ დიდი ბრძოლებია გადასალახავი. გარწმუნებთ, ამ ბრძოლაში საქართველო თქვენს გვერდით იდგება.

თქვენი,
ედუარდ შევარდნაძე.
11 სექტემბერი, 2002 წ.

თანამშრომლობა

ამშ საქართველოს დაეხმარება პანკისში წესრიგის დამყარებაში

რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ალექსანდრ ვერშბოუს მიერ მოსკოვში გამართული კონფერენციის სენსაციებით მდიდარი გამოდგა. კერძოდ, დიპლომატმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკვე ეხმარება საქართველოს ხელისუფლებას ბრიგანელი ბიზნესმენის პიტერ მოუს ძებნაში, რომელიც მიმდინარე წლის 18 ივნისს გაიტაცეს შეიარაღებულმა ადამიანებმა თბილისის ერთ-ერთი ქუჩიდან.

იხ. მე-3 გვ.

გიხაროდენ!

მადლობელი ვარ

— ბოდი შემეძინა თბილისის დაკეთ ქორიბის სახელობის მე-4 საშობიაარო სახლში. ყურადღებიანია იქაური სამედიცინო პერსონალი; შე და ჩემი ჩვილი საშობიაარო სახლიდან უკვე ჯანმრთელები გამოვეწერეთ.

პირველი შვილი — 3 წლის ბიჭი მყავს, ისიც აქ შემეძინა, ახლა კი პირმშვენიერი გოგონაც მოგვემეგა. ამას ჩემი მეუღლეც მიმოწმებს (არ გაგვამტყუნოთ, შმობლებს შვილები ყველაზე ლამაზები ეჩვენებათ), ასე, რომ ნანაგრი ქალ-ვაჟი გვყავს.

იმიგომ გირეკავთ, რომ სამშობიაარო სახლში მევეს წარი თქვენი გაზეთის პირველ გვერდზე „გიხაროდენ“ მილოცვამ როგორ გაახარა ჩვილის დედა. ამ დროს მართლაც სჭირდება ახალშოლოგინებულ ქალს სიხარულის განცდა, — დაგვიკავშირდა ორთაჭალიდან თამენა ჯიმკარიანი, თან თხოვნაც დაუმატა: გირეკავთ იმიგომაც, რომ ერთხელ კიდევ მადლიერება გამოვხატოთ ამ სამშობიაარო სახლის კოლექტივისადმი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

კანონმდებლები

ტერორიზმს ბოლო უნდა მოეღოს

11 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა სპეციალური განცხადება მიიღო 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განსორციელებულ დივერსიულ აქტებთან დაკავშირებით.

„ერთი წლის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგრიალებული ტრაგედიები დაგრიალებული ტრაგედია არ აღიქმება როგორც მხოლოდ ერთი ქვეყნის ტრაგედია. დღეს მთელი მსოფლიო ესმაურება ამ თარიღს და აუცილებელია ჩვენმა პარლამენტმაც გამოხაგოს თავისი დამოკიდებულება“,— განაცხადა ფრაქციის „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ. მან 11 სექტემბერთან დაკავშირებით პარლამენტის განცხადების პროექტი გააცნო დეპუტატებს.

იხ. მე-3 გვ.

ტრაგედიიდან შურისძიებამდე

«თქვენ პრეზიდენტ ბუშის ოჯახის წევრი ხართ»

ამ დღეით ვამინგტონში ისეთივე სიმშვიდეა, როგორც წინა დღეს, ვერ ვიტყვი, არის თუ არა ეს „სიმშვიდე ქარიშხლის წინ“, რადგან არავითარი ნიშანი არ არის ქარიშხლის.

ქარიც არა ჩანს მწვერვალებს მოსადები.

არადა, ოფის წინა დღე ყოფილა. ეს გაცხადდება ხვალ.

თეთრ სახლთან პოლიციელთა ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობაა, ძალიან თუ დაკვირდები, შეამჩნევ, მაგრამ ავტომაგმობარჯვებული, ესესელის დგომში გაშეშებული იქ არავინ ჩანს.

არ ჩანან, თორემ სპეციალური დანიშნულების რაზმები არიან იქ, სადაც საჭიროა, „სრულ საომარ მზადყოფნაში“.

აქედან ასიოდ მეტრში, სასტუმრო „ინტერკონტინენტალის“ მახლობლად და მერეც — ქუჩის გაყოლებით ჯიხურებში (სადაც ლათინოსები ვაჭრობენ), იყიდება ამერიკული დროშები, მაისურები უკვე არარსებული „ტკუპების“ და... ბენ ლადენის გამოსახულებით.

ეს ტურისტებზე გათვლილი „სავაჭრო რიგი“ დიდ ბიზნესზე არანაკლებ განიცდის კრიზისს, რადგან დღე ისე ჩათავდება, მყიდველი არავინ გამოჩნდება.

მაგრამ ფასს მაინც არავინ აგდებს.

ამერიკელი ობივაგელი თავის თავში ჩაიკეტა და საკუთარი ოჯახის უსაფრთხოების უმრუნველყოფის შეალით აფასებს პრეზიდენტ ბუშის ანტიტერორისტული ოპერაციისათვის სამზადისს.

უმარმაგარი მედია — ტელევიზია და პრესა — სამოგადოებრივ აზრს „დღე X“-ისათვის ამზადებს. საოცარი შეკავშირებაა ქვეყნის მეთაურის გარშემო, არნახული ნდობა მისდამი ყველანი, მიუხედავად იმისა, მესეა თუ არა ხმა მოქმედ პრეზიდენტს.

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა მანჰეტენში, ნიუ-იორკის მაშველებთან. 2001 წლის 2 ოქტომბერი.

ციტატა

მაგრამ ხომ უნდა გვესმოდეს, რომ ჩეჩენი სეპარატისტების წინააღმდეგ ომი — ძალზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი ამ ისტორიულად მეგობარ ქვეყანასთან — საქართველოსთან რუსეთის ურთიერთობისა, ბოლოს და ბოლოს მაინც მხოლოდ ეპიზოდია, და არ ღირს, მთელი ეს ურთიერთობა გადავაყოლოთ ჩეჩნეთში მოკალათებულ მოთარეშეთა წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის პრობლემას, ისე, როგორც ამას ესწრაფვიან ზოგ-ზოგები თავიანთ პროპაგანდასა და პოლიტიკაში.

ედგენი პრიმაკოვის წიგნიდან „მსოფლიო 11 სექტემბრის შემდეგ“. „ოგონიოკი“ №8, 10 სექტემბერი.

ინფორმაცია

ფესტივალი „CIFA 2002“

11 სექტემბერს თბილისში დაწყო კინოფესტივალის მეორე საერთაშორისო რეკლამის ფესტივალი „cifa 2002“. ამასთან დაკავშირებით ამ შთამბეჭდავი დღესასწაულიერების ორგანიზაციორებმა სასტუმრო „სიმპათიაში“ პრესკონფერენციაც გამართეს. ითქვა, რომ 26 ქვეყნის საოკლამო ნამუშევარი, 1000-ზე სატელევიზიო რგოლი და კლიპი, ასევე ნახევარი პროდუქცია იქნება წარმოდგენილი.

ბაზის 3 ნელიწადში გაყვანა შეიძლება

ახალქალაქში დისლოცირებული რუსეთის 62-ე ბაზის გაყვანა სამ წელიწადში, რასაც ქართული მხარე ითხოვს, რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობისათვის რეალური სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შექმნის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია.

ამის შესახებ განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთის მხარეში თეიურ ოსიაშვილმა.

მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა აშუშავებს სოციალურ პროგრამას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების თაობაზე, რომელიც სერიოზული მუშაობის შემთხვევაში საგესებიო განხორციელებადია სამ წელიწადში.

რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზის ლიკვიდაციის შეჩერების მოთხოვნით ხუთშაბათს ახალქალაქში საპროგესტო მიტინგი იგეგმება.

უფიშროება არ ადასტურებს

უფიშროების სამინისტრო არ ადასტურებს პანკისის ხეობაში დაკავებული ეთნიკური არაბის ქალად ოლდალის ადგოკადის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მისი დასაცავის ახსნა-განმარტებაში ჩეჩენ ტერორისტებთან კავშირის თაობაზე პაგიმრობიდან გათავისუფლების პირობით დაწერინეს.

უფიშროების სამინისტროს სგიმიბეგო სამსახურის უფროსმა მალსან სალაყაევმ განაცხადა, რომ ალნიშნულის შესახებ ბრალდებულმა არა მარტო ახსნა-განმარტებაში დაწერა, არამედ უმეშიგანილად დაკითხეს დროს ჩვენებამეც ადგარა.

თუ ოლდალის ბრალდებები არ დადასტურდება, მაშინ გამოძიებას მის გათავისუფლებაზე არანაირი პრეტენზია არ ექნება.

ქალაქ ქუჩაში დგანან

200-ზე გარემოვაჭრემ ოთხშაბათს ქუთაისში მგურმით აიღო მერიის შენობა, რადგან მათ ქალაქის ადმინისტრაციამ ერთ-ერთი ცენტრალურ ქუჩაზე ვაჭრობა აუკრძალა.

თავდაპირველად გარემოვაჭრეებმა ქალაქის ცენტრალური გზა გადაკეტეს, თუმცა მას შემდეგ, რაც ადგილობრივი ხელისუფლებიდან მათ აქციას არავინ გამოეხმაურა, გარემოვაჭრეებმა ქალაქის მერიის შენობასთან გადაინაცვლეს და მერთან ნუგბარ ფალიანთან შეხვედრა მოითხოვეს.

მერთან შეხვედრის შემდეგ დაგოვეს ქალაქის ადმინისტრაციის შენობა და ამჟამად კვლავ იმავე ადგილზე აგრძელებენ ვაჭრობას.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქონორმა და პრაბი-ნიუსმა

წინ, საქართველო!



დარდანელის ჰორიზონტიდან ლამანში გამოჩნდა

იხ. მე-7 გვ.

უკანასკნელ საათს

პალესტინის კაბინეტი სრული შემადგენლობით გადადგა, რათა თავიდან აეცილებინა უნდობლობის ვოტუმი. როგორც ტურნალისტები ამბობენ, ეს ძლიერი დარტყმაა, უპირველეს ყოვლისა, პალესტინის ლიდერზე იასერ არაფატზე. კაბინეტი წლეულს ჩამოყალიბდა, როგორც პალესტინელთა, ისე საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან ავტონომიის რეფორმირების საკითხში არაფატზე სერიოზული ძალდატანების შედეგად.

ერაყმა განაცხადა, რომ აშშ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ჭკუა ვერ ასწავლა 11 სექტემბრის მოვლენებმა.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: დამით +18; დღისით +24;
მთაში: დამით +15; დღისით +19;
აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: დამით +18; დღისით +26;
მთაში: დამით +12; დღისით +20;
თბილისში
დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება, სანმოკლე წვიმა.
დამით +18; დღისით +26.

საქართველოს პიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტი.

ლარის კურსი

12 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.4065 ლარი
აშშ დოლარი	1	2.19 ლარი
ევრო	1	2.1361 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0692 ლარი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

მარ 80 წლის, პენსიონერი; ვცხოვრობ სოფელში, მცირე პენსიით ძალიან მიჭირს არსებობა. მიუღებელი მაქვს გასული წლების პენსიის თანხები (საერთო ჯამით 9 თვე).

გთხოვთ განმიმარტოთ, მომეცემა თუ არა ჩემი კუთვნილი აუდებელი პენსია?

გერონტი მიქაბერიძე.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ფინანსური კრიზისის გამო ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება გასული პერიოდის საპენსიო დავალიანებების დაფარვა.

როგორც კი მიღებული იქნება გადაწყვეტილება აღნიშნული დავალიანებების დაფარვის შესახებ, დამატებით ინფორმაციას აუცილებლად მოგაწვდით ჩვენი გაზეთის, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით.

ირინე ლლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

ბაპრს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, რომ მხოლოდ უშიშროების საბჭოს აქვს საერთაშორისო ტერორიზმის საშიშროების წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლის აუცილებელი სამართლებრივი უფლებამოსილება. ნებისმიერი ქვეყნის მარტოხელა მოქმედებას შეიძლება განუჭვრეტელი შედეგები მოჰყვეს ყველა რეგიონში.

აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯონ ბოლტონი მოსკოვს ჩავიდა რუსეთის ოფიციალურ პირებთან ერაყის ირგვლივ მოსალაპარაკებლად. რუსეთი საკითხის დიპლომატიური გადაწყვეტის მომხრეა. იგი აცხადებს, რომ თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები აქვს ირანში, ერაყსა და ჩრდილოეთ კორეაში. ვაშინგტონი კი თავის მხრივ ამ ქვეყნებს „ბოროტების ღერძებს“ უწოდებს.

პაკისტანის პოლიციამ ყარაჩის ერთ-ერთი შენობის რამდენიმესართიანი ალყის შემდეგ მოიკლა ორი და დაპატიმრა ხუთი ბოევიკი. ოპერაციის დროს დაიგრა ექვსი პოლიციელი, როგორ ტყვეიით დაიდეკეა ბავშვი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 220, ხუთშაბათი, 12 სექტემბერი, 2002 წელი.

ПРЕЗИДЕНТИ

ედუარდ შევარდნაძე: „პანიკისა და განგაშისთვის საფუძველს ვერ ვხედავ. არა მგონია, რუსეთი ისეთ ავანტიურაზე წავიდეს, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიოს თვალში მის მორალურ და ფსიქოლოგიურ დამარცხებას მოასწავებს“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის კომენტარი რიგ პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებასთან დაკავშირებით 2002 წლის 11 სექტემბერს

(პირველი ბეჭდვა)

გამოიცა, რომ ერთი ფრაზითაც კი არ არის ნახსენები ჩეჩნეთის პრობლემა. ყველაფერი ხომ ჩეჩნეთიდან დაიწყო. აქ რომ იყოს, ეკითხავდი, რა უშლის ხელს რუსეთს, დაამყაროს წესრიგი თავის ქვეყანაში, და, როგორც მათ მიაჩნიათ, ჩეჩნეთი რუსეთის შემადგენელი ნაწილია.

მე არ მინდა ძალიან დეტალური დებატები გაიმართოს ჩვენ შორის, მით უმეტეს, რომ თავად ვლადიმერ პუტინი ამ საუბარს არ ესწრება, მაგრამ კიდევ ვიმეორებ და ვამცნობ, რომ ცოტა ნაჩქარევად გაკეთებული განცხადებაა. ეტყობა, ბევრი რამ იმ წრის საყურადღებოდ ითქვა, რომელიც ამ თათბირს ესწრებოდა, ითქვა იმისათვის, რომ მათი აზრი გავიზიარებინა. იმასაც გეტყვით, რომ იმ დიალოგის ფონზე, რომელიც მიმდინარეობდა ჩვენ შორის, — მსჯველობაში მაქვს ჩვენი მიწერ-მოწერა, კერძოდ, ჩემი ორი წერილი და ამ რამდენიმე დღის წინათ მიღებული მისი პასუხი, — ეს განცხადება ძალიან გაუგებრად გამოიყურება. ორი პრეზიდენტი სერიოზულად საუბრობს იმ პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, ორ ქვეყანას შორის ურთიერთთბასთან და უცებ — ასეთი მუქარის შემცველი, პოლიგიკოსისათვის ყოვლად გაუმართლებელი განცხადებები: დაარტყით, სადაც რადაცას აღმოაჩენთ და ასე შემდეგ.. ვფიქრობ, ეს განცხადება წამგებიანია თავად ბატონი პუტინისთვის.

მე სვალ შევხვდები უმიშროების საბჭოს წევრებს, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს, საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენელებს, და შევეცდები მათ განვუმარტო, რა არის არსებითად ასეთი განცხადების მიზეზი, და ჩვენ რისი იმედი გვაქვს. როდესაც აშშელ ქვეყნის პრეზიდენტი მუქარის სიტყვებით მოგმართავს, რა თქმა უნდა, სერიოზულად დგება საკითხი, შენ რა ოგორ უნდა უპასუხო. ვფიქრობ, ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს იმის, რომ ყველაფერში ცამდე მართალი ვართ. პანკისის პრობლემა ჩვენი შექმნილი არ არის. ის 8 თვისა კიცი მათ გადმორეკეს საქართველოს ტერიტორიაზე. შემდეგ ამ ხალხმა გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა ჩვენც და რუსეთსაც. შეიძლება, ახლა ისინი გადადიან საზღვარზე. ჩვენ ხომ ყველას ვერ ვაკონტროლებთ. რუსეთს ათასობით მესაზღვრე უდგას საზღვარზე და თავიანთი საზღვრის დაცვა თვითონ უნდა უმრუნველყონ. მე მგონია, რუსეთი ცოტა განაწყენებულია იმის გამო, რომ არ მივეცით უფლება, საქართველოს ტერიტორიაზე გავეშვა რუსეთის ჯარს, რომელიც შურგიდან დაარტყამდა ჩეჩნებს, რაც, ფაქტობრივად, საომარი ოპერაციების საქართველოში გადმოგანას ნიშნავდა. რუსეთში ბევრს უნდა, რომ ეს მოხდეს. გარკვეულ გადამიანებს, ალბათ, ისიც იწვევს, რომ მათი წინასწარმეტყველება, რომ ჩეჩნების აქ ყოფნა საქართველოსთვის დამღუპველი იქნებოდა, მთლად არ გამართდება. ის ხალხი თავიანთ სახლებში დაბრუნებაზე ფიქრობს და საქართველოსთვის განსაკუთრებული პრობლემები მათ არ შეუქმნიათ. მათ დაიფასეს, რომ ჩვენ ქალები, მოხუცები, ბავშვები, დაჭრილები შეეფარეთ და, რაც შეგვეძლო, სიკეთე გავუკეთეთ.

ისიც მინდა განვაცხადო, რომ პანკისის პრობლემა ძირითადად გადაწყვეტილია, რადგან ის ხალხი, ასობით მამაკაცი, რომლებსაც შეუძლიათ იარაღი აიღონ ხელში, პანკისში არ არიან. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენ იქ შევიყვანეთ საკმაოდ მძლავრი ძალები თავად პანკისის მოსახლეობის, ქისტების და, რა თქმა უნდა, ქართველების მოთხოვნით, ამ ხალხის ძირითადმა ნაწილმა პანკისი დაგოვა. ახლა, თუ არ ვცდები, დარჩენილია 30-40 კაცი, უფრო შეგიდ კრიმინალები, და ჩვენი სამართალდაცვის სტრუქტურები ყველაფერს იღონებენ, რათა მათ ადგილი მიუჩინონ.

ცოტა ნაწყენი არიან ჩვენი რუსი მეგობრები იმის გამოც, რომ 11 კაცი, რომლებმაც ჩვენი საზღვარი დაარღვიეს და დაჭრილები იყვნენ, ჩამოვიყვანეთ თბილისში და ვუშკურნალეთ. მათ დანაშაული საქართველოში ჩაიდინეს. უნდა ჩაგარდეს გამოძიება. ამიგომ ისე, როგორც რუსეთის პროკურორმა მოიწადინა — თვითმფრინავით ჩამოფრენა და მეორე დღესვე ამ ხალხის წაყვანა, — არ გამოვა. ყველაფერს თავისი წესი აქვს. არ ვართ წინააღმდეგი, რომ ეს ხალხი დავაბრუნოთ რუსეთში, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველა საგამოძიებო ღონისძიება ჩაგარდება და ყველაფერი ნათელი იქნება.

საბოლოო ანგარიშით, პანკისა და განგაშისათვის საფუძველს ვერ ვხედავ. არა მგონია, რომ რუსეთი ისეთ ავანტიურაზე წავიდეს, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიოს თვალში მის მორალურ და ფსიქოლოგიურ დამარცხებას მოასწავებს. ბოლოს და ბოლოს, რუსეთი დაინტერესებულია იმით, რომ საქართველოსთან ჰქონდეს ნორმალური ურთიერთობა, ისევე როგორც საქართველოს სჭირდება რუსეთი. სხვათა შორის, პრეზიდენტ პუტინის განცხადების ბოლო ნაწილი საკმაოდ კონსტრუქციულია. ლაპარაკია იმაზე, რომ მისი დავალებები ფრთხილად შესრულდეს. მხედველობაში აქვს, ალბათ, რომ დაბომბვებმა მსხვერპლი გამოიწვია და სეროიზული ბარალია მშვიდობიან მოსახლეობაში. ალბათ, მათთვის არ უნდა იყოს სასურველი ასეთი რამის გამეორება. ამავე დროს, პუტინი მიუთითებს: ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ შე და პრეზიდენტი შევარდნაძე ოქმიბრის დამდეგს კიბინოფში შეეხვდებით და იქ ვისაუბრებთ, როგორც ვიბრძოლოთ უკეთ ტერორიზმის წინააღმდეგ და გაგაუმჯობესოთ ჩვენი ურთიერთობა. ასეთი განცხადებას მე მივესალმები. თუ მივიდე მონაწილეთა სამეგზი, მე მას შევხვდები. ურთიერთობის გარკვეული ყველაზე უკეთესი საშუალება არის საუბარი პირისპირ, როცა ადამიანს თვალებში უყურებ.

ასე რომ, მინდა მივმართო მოსახლეობას: გაფრთხილდ ხმები, რომ ხელისუფლებაში რაღაც საგანგებო უმიშროების საბჭო მოიწვიეს და დონისძიებებს სახავენ. აქ ჯერჯერობით ორი-სამი კაცი ემსჯელობთ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი პასუხი. ამაზე ხვალ ვიმუშავებთ. ხვალვე შეიძლება მართლაც დაგვჭირდეს უმიშროების საბჭოს შეკრება იმისათვის, რომ კოლექტიურად შევაფასოთ შექმნილი მდგომარეობა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ პანკისა და განგაშისის საფუძველს ვერ ვხედავ. არა მგონია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ და საქართველოს ხელისუფლებამ საერთო ენა ვერ გამონახონ ასეთ საგუაციაში. კიდევ ვიმეორებ, პირველი, რასაც ვესაურვებ რუსეთს, არის ის, რომ ჩეჩნეთში დაამყაროს წესრიგი. ჩეჩნეთში წესრიგის დამყარება ნიშნავს იმას, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ყოველგვარი გაუგებრობის საფუძველი აღმოიფხვრება“.

საქართველოს
პრეზიდენტის პრესსამსახური.

ДАЗГИЛДОЕБА

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 9 სექტემბერი ქ. თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ

სტუდენტი ახალგამრდობის აღმრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ეკონომიკური რეფორმების გაგარებაში აქტიური მონაწილეობისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ და გამოეცხადოთ მადლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს:

ორდენი:

რამაზ აბესაძე — მაკროეკონომიკის კათედრის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი; **გრიგოლ თოდუა** — საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი.

მედალი:

დემურ ბახტაძე — კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დოცენტი; **მიხეილ კიკნაძე** — მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში; **თენგიზ ლაფიძე** — ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი; **მერაბ მჭედლიძე** — ეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი. **ოვანე თოთაძე** — საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე; **ემზარ ჯიგარენაია** — ფინანსებისა და კრედიტის კათედრის დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

გამოეცხადოთ მადლობა:

ლალი კობახიძეს — ეკონომიკის ფაკულტეტის მეთოდისტს; **გულნარა მსხილაძეს** — კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის კათედრის უფროს ლაბორანტს; **ეროკლე ეგრელიძეს** — კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს; **თინათინ ქუჯარაშვილს** — საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო ოსტატს; **ნაირა ფეფილაშვილს** — მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტს. **ლილი ჩაგელიშვილს** — მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტს;

ედუარდ შევარდნაძე.

ДАЗГИЛДОЕБА

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 9 სექტემბერი ქ. თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ

სტუდენტი ახალგამრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ეკონომიკური რეფორმების გაგარებაში აქტიური მონაწილეობისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ და გამოეცხადოთ მადლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს:

ორდენი:

ალექსანდრე ბერიშვილი — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ელექტრადიოცენტრის“ მთავარი ეკონომისტი; **ოთარ მაზარაძე** — საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მართვის დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი; **ბეთანდიდ სულბერიძე** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; **მამია სულბერიძე** — საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის მუმაკი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი; **გივი ხმალაძე** — საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს აგრარული რეფორმების სამმართველოს უფროსი; **მიხეილ ჯიბუტი** — საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე; **თენგიზ ჯინჯოლავა** — საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების სახელმწიფო სამსახურის პირველი მოადგილე.

ორდენი:

ჯამლეთ ბაგუნაიშვილი — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **დალა ვარდიანი დავითიანი** — საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ანგრარული ეკონომიკის

ტრაგედიის წლისთავი

„ბოროტსა სძლია კეთი-

(პირველი გვერდიდან)

სიმბოლურად, რომ ტბილისში მემორიალი სწორედ იმ ადგილას აღმართა, სადაც 1998 წლის 9 თებერვალს ტერორისტული აქტი საქართველოს პრეზიდენტზე ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელდა.

წლეულს კი, 11 სექტემბერს ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ 9 თებერვლის ბაღში აღმართული მემორიალის გახსნაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი, სხვა ოფიციალური პირები. აქვე გამართულ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფას, სიტყვები წარმოთქვეს თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ, ელჩმა რიჩარდ მაილსმა.

— დიდი მადლობა იმ სითბოსა და ყურადღებისათვის, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ერი ნიუ-იორკის გრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნისათვის იჩენს, რისი ნათელი მაგალითი სწორედ მსოფლიოში ცნობილი სკულპტორის ზურაბ წერეთლის ეს მონუმენტია. მნიშვნელოვანია ის, რომ ქართველი ხალხი და ქვეყნის ხელმძღვანელობა ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას მსოფლიოში მიმდინარე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისადმი, — განაცხადა მიტინგზე რიჩარდ მაილსმა.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მან მადლიერების სიტყვებით მიმართა ქალაქის მერს ვანო ზოდელავას, ძეგლის ავტორს ზურაბ წერეთელს, მათ, ვისაც თბილისში ძეგლის დადგმის ინიციატივა ეკუთვნის.

„სიმბოლური იყო ის ფაქტი, რომ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგის ქანდაკება, რომელიც ურჩხულს ამარცხებს, სწორედ ნიუ-იორკში უნდა დადგმულიყო“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს ამ სამნილელ ტრაგედიასთან დაკავშირებით.

„დღეს ჩვენ, ყველამ, მთელმა კაცობრიობამ გავიგეთ, რომ ტერორისტებს არა აქვთ სამშობლო, არა აქვთ რელიგია, ტერორისტებს არ გააჩნიათ არავითარი ადამიანური რწმენა.

მთელი კაცობრიობის ძალისხმევით ტერორიზმი აუცილებლად დამარცხდება და ვამაყობ, რომ ამ ისტორიულ საქმეში, დიდ მეძრაობაში, ქართველ ხალხს, ჩემს ხალხსაც შეაქვს თავისი წვლილი“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და რწმენა გამოთქვა, რომ მოვა დრო, მთელი კაცობრიობა აღდგება აგრესიული სეპარატიზმისა და აგრესიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. „რადგან სწორედ ეს ბოროტი მოელენებია ის მკვებავი წყარო, რომელიც ტერორიზმს წარმოშობს“.

და, ბოლოს, ედუარდ შევარდნაძემ ამერიკელ ხალხს უსურვა დიდი ბედნიერება და ყველა მგერმე გამარჯვება.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო

„ბაბილონს დრო და 11 სექტემბრის ხსოვნას ჩვენ ქვასა და ლითონში გამოვკვეთთ, რითაც შევძლებთ, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც ჯერ არც კი დაბადებულან, დავეხმაროთ, გაიგონ, თუ რა მოხდა იმ დღესა და წუთს. ჩვენ კი, ვინც ეს ყველაფერი უშუალოდ გამოვცდეთ, ეს მოვლენები ისედაც გაგვახსენდება, როდესაც საათის ისარი 11 რიცხვის 8 საათსა და 46 წუთს მიუახლოვდება“, — ეს არის ამონარიდი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის 2001 წლის 11 დეკემბრის გამოსვლიდან. და მართლაც, 2001 წლის 11 სექტემბერმა არა მარტო ამერიკა, არამედ თანამედროვე მსოფლიო და მსოფლმხედველობა რადიკალურად შეცვალა. ამ არნახულმა გრაგედიამ ამერიკის მოქალაქეებს, მთელი პლანეტის მოსახლეობას კიდევ ერთხელ დაანახა, თუ რა შეუძლია სიძულვილსა და აგრესიას, ძალადობასა და ტერორიზმს. მაგრამ ამ გრაგედიამ ცხადყო ერთმანეთისადმი თანაგრძნობის, თანადგომისა და სიყვარულის გრძნობა. მოვლენამ, რომელმაც ერთიანად შეძრა ცივილიზებული მსოფლიო, ამასთან გაამთლიანა და გააერთიანა ერთი უმთავრესი მიზნის — საერთაშორისო ტერორიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამერიკაში განვითარებული გრაგედიიდან ერთი წლისთავზე, 2002 წლის 11 სექტემბერს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში პაგივი მიაგეს ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპულთა ხსოვნას.

„11 სექტემბრის შემდეგ: სურათები ნანგრევებიდან“ — ასე ეწოდება ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფის ჯოელ მეიეროვიცის ნამუშევართა გამოფენას, რომელიც 11 სექტემბერს თბილისის სურათების ეროვნულ გალერეაში გახსნილა. ექსპოზიცია მომზადდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის განყოფილების და ნიუ-იორკის მუზეუმის ერთობლივი ძალისხმევით. ჯოელ მეიეროვიცის საოცრად მეტყველი ფოტონამუშევრები „სცენები ნანგრევებიდან“ ბოლომდე სწვდება მომხდარი გრაგედიის სიღრმეს, რომელმაც სულ რამდენიმე წუთში ნანგრევებად და ფერფლად აქცია თანამედროვე არქიტექტურის საოცრება — „ტყუპი“ ცათამბჯენები.

აღსანიშნავია, რომ ეს ფოტოგამოფენა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მოგზაურობს. საგულისხმო ფაქტია, რომ იგი საქართველოში სწორედ 11 სექტემბერს გაიხსნა. გამოფენის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, ჩვენს ქვეყანაში ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ მაილსი, ჩვენი ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები.

— ერთხელ კიდევ ვიხრი ქედს ამერიკაში მომხდარი გრაგედიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის წინაშე. ბევრი გრაგიკული მოვლენა განვითარებული მსოფლიოში, მაგრამ ამერიკაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა განსაკუთრებულად შეძრა მსოფლიო. ამ მოვლენამ საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლას, გააერთიანა ცივილიზებული სამყარო აგრესიისა და ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოფენის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე.

ფოტოგამოფენა 25 სექტემბრამდე გაგრძელდა. აქვე წარმოდგენილი ქართველი მხატვრების ნამუშევრები, რომლებშიც ასახავს ამ საბრბაროსული აქტების მსხვერპლთა მიმართ თანაგრძნობა.

საქინფორმი.

აფრიალდა თეთრი მანდილი

2002 წლის 11 სექტემბერი, 17 საათი და 45 წუთი, ამერიკის დროით კი შუსგად 8 საათი და 45 წუთი. სწორედ ამ დროს, ერთი წლის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგრიალდა არნახული გრაგედია, რომლის მსგავსი თანამედროვე ისტორიას არ ახსოვს.

ამ მოვლენის წლისთავს მიეძღვნა ვაკის პარკში 11 სექტემბერს გამართული კონცერტი — აქცია, რომლის ორგანიზაორები იყვნენ — თბილისის მერიის კულტურის სამსახური და ქალთა საერთაშორისო ასოციაცია „თეთრი მანდილი“. ამ ინიციატივის მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოში.

იქ შეკრებილმა თბილისელებმა მოისმინეს ნიუ-იორკის მერის წერილი, რომელშიც იგი მადლობას უხდის ქართველ ხალხს თანადგომისა და თანაგრძნობისათვის.

ამ შთამბეჭდავ კონცერტ-აქციას, რომელსაც ეწოდება „არა — ტერორიზმს“, უძღვებოდა ბიბოჩენილი რეჟისორი და მსახიობი ქეთი დოლიძე. კონცერტში მონაწილეობდნენ ქართული ესტრადის გამოჩენილი მომღერლები, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, უნივერსიტეტის გუნდი.

საქართველომ ერთხელ კიდევ გამოხატა თავისი თანაგრძნობა ამერიკელი ხალხისადმი და პაგივი მიაგო ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპულთა ხსოვნას.

საქინფორმი.

ლიტერატურულ-ქუსიკალური კომპოზიცია „არა კაც ჰპლა“

— ასე ეწოდებოდა 11 სექტემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართულ ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში დატრიალებულ ტრაგედიას მიეძღვნა.

საღამოში, რომლის ორგანიზაგორია „არგ-იმედი“, მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები.

საქინფორმი.

ტრაგედიიდან შურისძიებამდე

(პირველი გვერდიდან)

ამერიკელი თავისი პრეზიდენტის ღირსებას, როგორც საკუთარს, ისე უფრთხილდება.

ამდენი საბრუნავით და ემოციით დატვირთულ „ჩვეულებრივ ამერიკელს“ თითქოს არც დრო, არც სურვილი არ უნდა ჰქონდეს, ზედმეტი ინფორმაციით თავი დიგვირთოს.

ზედმეტით — არა.

მაგრამ ქვეყნის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის საქმის კურსში არის. პეტრე ჩხეიძე, ჩვენი წარმომადგენელი გეროში*, მომიყვება, ასეთ სეციფიკურ სიტუაციაში ამერიკელთა დიდი ინტერესის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტისადმი. ზოგადი ფრაზებით კი არა, კონკრეტული ფაქტებით, და მრავალთაგან აქ მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ:

გაქსით მგზავრობდა იმ დღეს ნიუ-იორკში ბატონი პეტრე. ნიუ-იორკელ გაქსისტებს უყვართ გამოლაპარაკება მგზავრებთან. აქაც გაუბა საუბარი და სადაურობა ჰკითხა. პასუხი რომ მიიღო, აბა, შევარდნაძის ქვეყნიდან ხარ, საქართველოდანო? და შემდეგ იმ გაქსისგმა ილაპარაკა შევარდნაძის დიდი კაცობის შესახებ.

ეს — საზოგადოების ერთი ფენის წარმომადგენელის აზრი.

ახლა — მეორის, სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის. ბოსტონში, პარვარდის უნივერსიტეტში ედუარდ შევარდნაძის ლექციის მოსასმენად ორ დიდ აუდიტორიაში (მეორეში მონიტორი იყო ჩართული) შეკრებილ პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ასპირანტებს და სხვადასხვა პროგრამების მსმენელებს ასე წარუდგინეს საქართველოს პრეზიდენტი:

— იგი არის უნიკალური პიროვნება, — თქვა პარვარდის ჯონ კენედის სახელობის სამთავრობო სკოლის დირექტორმა გრეგ ვილსონმა, — რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ორი ქვეყნის ისტორიაში: პირველი, საბჭოთა იმპერიის გარდატეხისა და დასასრულის პერიოდში და, მეორე, ახალი, დემოკრატიული ქვეყნის — საქართველოს შექმნისა და ჩამოყალიბების ეტაპზე.

განსაკუთრებით აღნიშნა მისი დამსახურება მსოფლიოში ციეი ომის დასრულების ისტორიულ მნიშვნელობასთან, ბეიკერთან, გორბაჩოვთან ერთად.

იგი არის თავისი ქვეყნის დამაარსებელი და შემქმნელი. იგი სახელმწიფოს სათავეში მოდგა წეროს ურთულეს პერიოდში, წინააღმდეგობრივ გარემოში, რომელიც შეიქმნა აფხაზეთის, ჩეჩნეთის, რუსეთის გამო.

ორი ტერორისტული აქტი განხორციელდა მის წინააღმდეგ. სამიო, — ჩაუროო შევარდნაძემ და გაიღიმა. ჩანს, ამდენი ქუბით უხერხულად იგრძნო თავი და ამ რეპლიკით ორაგორის მიწაზე დაბრუნება სცადა.

* **ამგამად საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია ავდანეთსა და თურქმენეთში.**

სცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, რადგან ორაგორს უნდა გახსენებინა და გაიხსენა კიდეც, რომ სტუმარი პარვარდის უნივერსიტეტის დოქტორის საპატიო ხარისხის მფლობელია და რომ სწორედ მან — საქართველოს პრეზიდენტმა და პარვარდის პროფესორმა — პირველმა გამოუგზავნა ამერიკის პრეზიდენტს თანაგრძნობისა და თანადგომის წერილი 11 სექტემბრის გრაგედიასთან დაკავშირებით.

პირველმაო.

არა მარგო აქ არის პირველი: ყოფილი სოციალისტური სივრცის ქვეყნების ლიდერთაგან ედუარდ შევარდნაძე პირველი

არ დარჩენილა ეს მოწოდება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, მაგრამ ვერც გაეროს მნიშვნელოვანი, თუმცა, უძალო რეზოლუციები, თუნდაც „სახანძრო რაზმების“ იდეა რეალობად ვერ დაკონკრეტდა.

შედეგად: ჩეჩნეთის და ბალკანეთის გავლით 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში.

— რა შთაბეჭდილებით დაბრუნდა პრეზიდენტი შევარდნაძე მანქანიდან? — „საქართველოს რესპუბლიკის“ შეკითხვა.

პაუზა. საკმაოდ ხანგრძლივი — ბუნებრივია, განცდა ღრმაა და უიქრი დიდი.

«თქვენ პრეზიდენტ ბუშის

იყო, ვინც პირადად მივიდა ამერიკის გრაგედიის ადგილზე, მანქანგენის ნანგრევებზე და პაგივი მიაგო დაღუპულთა ხსოვნას.

ეს იყო ქართული მენტალიტეტის მსოფლიო მასშტაბით წარმოჩენა (შედარებისთვის: მიხეილ გორბაჩოვი ჩერნობილს სათოფეზე არ გაპკარებია), სხვისი (სხვისი?) ტკივილის გადათვისება და კიდევ ბევრი რამის ხაზგასმა, თუნდაც — ტერორიზმი ის თეორი აქვემია, რომელიც ყველას კართან დაიჩოქებს სიკვდილივით.

მაგრამ არა ფაგალური გარდუვალობით. ამის თავიდან აცილება მხოლოდ მამინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ციეილიზებული მსოფლიო ანგაგერორისტულ კოალიციაში გაერთიანდება.

აფხაზეთის დროს და აფხაზეთის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე მსოფლიო ლიდერთაგან პირველი იყო, ვინც დაინტერესა, ახალი და ახალი არგუმენტების მოშველიებით აფრთხილებდა ჯერ რუსეთს, მერე მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებს, რომ თუ არ აღმოიფხვრება აგრესიული სეპარატიზმი და ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმის დამოკლეს მასეთის პერსპექტიული საშიშროება ფაქტად იქცევა.

ამერიკის შეერთებულ შტატებზე 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ ქართველი ერი, რომელიც თავად არის ტერორიზმის მსხვერპლი, კიდევ ერთხელ გულწრფელად თანაგრძნობს ამ შეშაძრწუნებელი ტრაგედიის დროს დაღუპულთა ოჯახებს და მთელ ამერიკელ ხალხს, გმობს ტერორიზმს და მის სულმოწყალ რეჟიმებს.

საქართველოს პარლამენტი ქვეყნის მთელი მოსახლეობის სახელით მადლობას უხდის შეგობარ ამერიკელ ხალხს და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, რომელიც ძალზე ბევრს აკეთებს საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად და მისი ძალიერების განსამტკიცებლად.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ყველა პროგრესულმა ძალამ და ციეილიზებულმა სახელმწიფომ უნდა დაუჭიროს მხარი მსოფლიოს უმიშროებისათვის ამ გადამწყვეტ ბრძოლაში და გამოხატოს მზადყოფნა ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს პარლამენტი მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევას — ბოლო მოუღოს ტერორიზმს მთელ მსოფლიოში და მიიღოს პრევენციული ზომები იმ რეჟიმების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას და თავისუფლებას დედამიწაზე.

თბილისი, 2002 წლის 11 სექტემბერი.

«თქვენ პრეზიდენტ ბუშის

ბრძანდებით და ამერიკას სწორედ თქვენი ძალიან დიდი იმედი აქვს, კეკეასია სგაბიელური რომ იყოს.

* * *

იმ დილით, რომლითაც ეს წერილი დავიწყე, თეთრ სახლთან შეხვედრა ძველი ნაცნობისთვის გამბარჯობის თქმასავით იყო:

— დილა მშვიდობისა!

თეთრი და მწვანე ფერების მარგიები ესთეტიკა — მწვანე მინდორი, სვეტების სითეთრე და წითელი ყვავილების რკალი დროშის ზოლების სიწითლის ძახილის ნიშნით.

თეთრი სავსე მთვარე, როგორც ნახევარმთვარის ალტერნატივა, ჯერ კიდევ მონაცრისფრო ცაზე ეკიდა, და მზის პირველი სხივებით — ამ ბუნებრივი ილუმინაციით — განათებული დროშები დბადილი სახლების სახურავებზე ფრიალებდა.

ყივანახველიანი ყიყინით დაეშვნენ გარეული ბატები თეთრი სახლის წინ მინდორზე და ჯოგებად ჩაუდგნენ თავის წილ ბალახს.

უზარმაზარ რკალად შემორგყმოდა მწვანე მინდორს ბაკებზე მიბმული ულაყებივით „ფორდები“, „შევროლეები“, „კრაისლერები“, შედარებით ნაკლებად — „ტოიოტები“, სამი „ფოლცვაგენი“ და ერთადერთი მავი „მერსედესი“.

ვერცხლისფერს წვეთებივით დაგორავდნენ ციყვები მინდვრის წრეს ჩაყოლებული ხეების ძირას და ისე ვაინტერესებდი მე, როგორც მე ისინი. და თუ მაინც ვახსენე, მხოლოდ იმიგომ, რომ წერგილი დამესვა.

იყო 2001 წლის 6 ოქტომბერი. ომის დაწყების წინა დღე.

ბარმაზ სანეგლიძე,
„სრ“ სპეც. კორ.
ბოსტონი-ნიუ-იორკი-ვაშინგტონი.

კანონმდებლები

ტერორიზმს ბოლო უნდა მოეოს

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ მსოფლიოს ყველა პროგრესულმა ძალამ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მხარი უნდა დაუჭიროს მსოფლიოს უმიშროებისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში, აგრეთვე მხარი დაუჭიროს მის ძალისხმევას მოუღოს ბოლო ტერორიზმს მთელს მსოფლიოში და მიიღოს პრევენტიული ზომები იმ რეჟიმების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას და თავისუფლებას დედამიწაზე.

პარლამენტმა განცხადება ერთხმად მიიღო.

* * *

11 სექტემბერს პარლამენტმა წუთიერი დუმილით პაგივი მიაგო დეპუტატ ვახტანგ ბოჭორიშვილის სხეულს, რომელიც 10 სექტემბერს, გეგეან ღამით გარდაიცვალა და თანაგრძნობა გამოუცხადა მის ოჯახს.

„ეს უდიდესი დანაკარგია არა მარტო ჩვენი პარლამენტისთვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის“,— განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

პარლამენტში შეიქმნება ვახტანგ ბოჭორიშვილის დამკრძალავი კომისია, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე უხელმძღვანელებს. მისი დაკრძალვა კვირას, 15 სექტემბერს, გიმორეთება. 11 სექტემბერს კი ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ვახტანგ ბოჭორიშვილისადმი პაგივისცემის ნიშნად პლენარული სხდომა შეწყვიტა.

პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა 12 სექტემბერს გაიმართება.

საქინფორმი.

საქართველოს პარლამენტის განცხადება

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით

ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისათვის თავისუფლებისა და დემოკრატიის სიმბოლოს წარმოადგენს. ამ სახელმწიფოს შეძლო დედამიწაზე მცხოვრები თითქმის ყველა ერისთვის ჩაენერგა სამართლიანობისა და თავიანთი ქვეყნების მომავლისადმი რწმენა.

2001 წლის 11 სექტემბრის გრაგედიამ არა მარტო ამერიკელ ხალხს, არამედ მთელ მსოფლიოს ცხადად დაანახა, რომ მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის ჯერ კიდევ ბევრი მტერი პყავს და არიან ძალები, რომელთაც სურთ, მუდმივ შიშსა და ტერორში იმყოფებოდნენ ის ერები, ცივილიზაციისაკენ რომ ისწრაფვიან.

ამ გამოწვევებზე ამერიკელი ხალხისა და მისი ხელისუფლების სავსებით ადეკვატურმა რეაქციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სახით ყველა მშვიდობისმოყვარე ერს პყავს ძალიერი დასაყრდენი და რეალურად მებრძოლი ძალა.

ასეთი დასაყრდენსა და საიმედო მეგობარს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთვისაც, რომელსაც დღეს, მის მიმართ გამოვლენილი დაუფარავი აგრესიის გამო უადგილოდ გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში, ისე როგორც არასდროს, სჭირდება მხარდაჭერა და თანადგომა.

ამერიკის შეერთებულ შტატებზე 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ ქართველი ერი, რომელიც თავად არის ტერორიზმის მსხვერპლი, კიდევ ერთხელ გულწრფელად თანაგრძნობს ამ შეშაძრწუნებელი ტრაგედიის დროს დაღუპულთა ოჯახებს და მთელ ამერიკელ ხალხს, გმობს ტერორიზმს და მის სულმოწყალ რეჟიმებს.

საქართველოს პარლამენტი ქვეყნის მთელი მოსახლეობის სახელით მადლობას უხდის შეგობარ ამერიკელ ხალხს და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, რომელიც ძალზე ბევრს აკეთებს საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად და მისი ძალიერების განსამტკიცებლად.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ყველა პროგრესულმა ძალამ და ციეილიზებულმა სახელმწიფომ უნდა დაუჭიროს მხარი მსოფლიოს უმიშროებისათვის ამ გადამწყვეტ ბრძოლაში და გამოხატოს მზადყოფნა ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს პარლამენტი მხარს უჭერს ამერიკის შეერთებულ შტატებს ძალისხმევას — ბოლო მოუღოს ტერორიზმს მთელ მსოფლიოში და მიიღოს პრევენციული ზომები იმ რეჟიმების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობასა და თავისუფლებას დედამიწაზე.

თბილისი, 2002 წლის 11 სექტემბერი.

თანამშრომლობა

აშშ საქართველოს დაეხმარება პანკისში წესრიგის დამყარებაში

(პირველი გვერდიდან)

საქართველომი იგი 1996 წელს ჩავიდა და მუშაობდა „აგრობიზნესბანკში“ გასესის პროგრამის ფარგლებში, როგორც ელჩმა ვერმბოუმ თქვა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოთქვა სურვილი დაეხმარონ საქართველოს დაამყაროს წესრიგი პანკისის ხეობაში, სადაც, როგორც ფიქრობენ, დაგყვევებული ჰყავთ პიგერ შოუ და ტერორისტების მიერ გაგაცებული კიდევ სხვა ადამიანები. ამერიკელი დიპლომაგის თქმით, უკვე მიღწეულია „აშკარა დადებითი შედეგები“, და საქართველოს მინაგან საქმეთა მინისგრმა განაცხადა, რომ იგი ოპგიმისტურადაა განწყობილი პიგერ შოუს რაც შეიძლება სწრაფად განთავისუფლების თაობაზე.

როგორც რუსი სპეციალური მიმმოხილველები მიიჩნევენ, ამერიკელი ელჩის ასეთი განცხადება ადასტურებს, რომ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობაში უკვე გადალახულია მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ბარიერი წინაპ, როგორც ეს არაერთგზის აღუნიშნავთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ამერიკელ ინსგრუქტორთა როლი მხოლოდ საქართველოში სეცდანიშნულების ნაწილების წვრთნით თუ შემოიფარგლებოდა. ახლა საქმე ეხება მონაწილეობას კონკრეგულ ოპერაციაში. და არ არის გამორიცხული, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ უფრო მეგად ჩაებას პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენებში.

საქინფორმი.

მშვიდობიან მოწესრიგებას კარგი პერსპექტივები აქვს

რუსეთის თავდაცვის მინისგრმა სერგეი ივანოვმა და საქართველოს პრეზიდენგის სპეციალურმა წარმომადგენელმა, აჭარის ავგონომიური რესპუბლიკის ლიდერმა ასლან აბაშიძემ დაადასტურეს, რომ მოსკოვი და თბილისი დაინტერესებული არიან იმით, რომ რაც შეიძლება მშვიდობიანი გზით მოგვარდეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. რუსეთის თავდაცვის სამინისგროში გამართული მოლაპარაკების დროს მათ დაწერილებით განიხილეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ამჟამინდელი მდგომარეობა და მისი მოგვარების პერსპექტივები. „რუსეთი კვლავაც გაგაკეთებს ყველაფერს საიმისოდ, რომ ეს კონფლიქტი მოგვარდეს პოლიგიკური და დიპლომაგიური მეთოდებით“, — განაცხადა რუსეთის თავდაცვითი უწყების მეთაურმა ეკონომიკურ ანალიზგებთან საუბრისას. როგორც მან თქვა, თუ ორივე მხარე გამოიჩენს პოლიგიკურ ნებას, კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას კარგი პერსპექტივები აქვს.

ასლან აბაშიძემ აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის საგგრეო საქმეთა სამინისგროში განხილა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხი, მაგრამ საჭიროდ მიიჩნია გასაუბრებოდა რუსეთის თავდაცვის მინისგრს „იმ მარგიევი მიზეზის გამო, რომ ვითარება რთულდება, ჩვენ კი გვსურს, რომ ამან ხელი არ შეუშალოს სოხუმსა და თბილისს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებას“.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 220, ხუთშაბათი, 12 სექტემბერი, 2002 წელი.

როგორ ცხოვრობთ, ლიახვისპირელებო?

თავკაცი

ნოდარ ყოჩიშვილს ხელისუფლებაზე მოსვლაზე არასდროს უოცნებია.

ეგი დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ქურთაში, მშრომელ, პაგონსან ოჯახში დაბადა და გაიზარდა. რაც თავი ახსოვს, გარჯასა და სიკეთის ქმნაშია.

ჰყავს მეუღლე, — იდა კასრაძე და სამი შვილი. უპარგოია. 40 წელს ეს-ესაა გადაბიჯა და ცხინვალის მხარეში უკვე ერთ-ერთი სახელგანთქმული ადამიანია — ამ რამდენიმე წლის წინათ თავის მეგობრებთან ერთად წამოიწყო ბიზნესი და კარგადაც გაუძღვა. გამართლება ერთია, მაგრამ თავისი ალალი გულისა და ხელგაშლილი ბუნების გამო უფრო შეიყვარა მოსახლეობამ უდალაგო თანასოფელელი...

* * *

სამი შვილის დედა ქეთინო მაისურაძე გვიამბობს: ამ რამდენიმე წლის წინათ სოფელ თამარაშენში ბიჭი ხიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიგესხა. ხელმოკლე მშობლებს არ ჰქონდათ საშუალება ოპერაცია გაეკეთებინათ შვილისთვის. ბავშვი კი დღითიდღე სეიბრდებოდა. ნოდარმა იგი შემთხვევით ქუჩაში დაინახა. ბიჭის საოპერაციო თანხა უანგაროდ გაიღო. თუმცა, მანამდე ქერთელი ეოგონა თავად წაიყვანა თბილისში და მოარჩინა. ვინ მოსთვალო, რამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული, სხვა რომ არაფერი, მადლად ეგეც ეყოფა — საუბარში ეგერთვებიან სხვები.

ნოდარ ყოჩიშვილი მორწმუნე კაცია. მისი ცხოვრების დევიზად იქცა დიდი ილიას სიტყვები: „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“ — ამ ამრით იწყება მისთვის ყოველი დღე.

— ბატონო ნოდარ, ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში თქვენ შეგიქეცეს ხმათა რაოდენობით თითქმის სამჯერ აჯობეთ — 1778 ხმა დაგიროვეთ! რამ გიდგა-გიწყვეტინათ გადაგეგდოთ პოლიტიკისკენ ნაბიჯი მაშინ, როცა პირადი საქმე კარგად გქონდათ აწყობილი. რა დაგიდოთ ახალ საშუალო ადგილზე და როგორ გესახებათ იმ კუთხის მომავალი, რომელსაც თქვენ ჩაუდექით სათავეში? — სწორედ ამ კითხვით დაიწყო ჩვენი საუბარი მის სამუშაო კაბინეტში.

— სიმართლე რომ გითხრათ, არასდროს მიფიქრია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოვსულიყავი. თქვენ კარგად იცით, თუ რა გადაიგანა დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობამ, რა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს ახლა. უნდა ვაღიაროთ, რომ იმ წლებში მხოლოდ ღვთის მადლმა გადაარჩინა ჩვენი სოფელები. ამიგომ უფრო შეგიდ დავუახლოვდით ღმერთს. არჩევნებში ჩემი მონაწილეობის შესახებ რომ ვაცნობე, ჩემმა მოძღვარმა, ნიქოზ-ცხინვალის მთავარეპისკოპოსმა შეუფე ისაიამ დამლოცა და მითხრა: თუკი შეძლებ და ცოცა რამეს მაინც უკეთესობისკენ შეცვლი, მამაინ არჩევანი გამართლებული იქნებაო. მან იცის, რომ პრაქტიკულად, ხალხისთვის ვმუშაობ. ძნელია, მარგო გავუმკლავდე ამდენ სიძნელეს, უნდა აღვნიშნო, რომ შიდა ქართლის სამხარეო ორგანიზაცია, პირადად სახელმწიფო რწმუნებული შიდა

კაცად მაშინ ხარ საქები...

ქართლში, ბაგონი დავით ქობლიანიძე მხარში გვიდგას, მისი დიდი მაგლობელი ვართ.

დასამალი როდია, რომ თითქმის ცარიელი აგდილიდან უნდა დავიწყოთ მუშაობა, არა გვაქვს თანხები, ყველაფერი ჩვენ უნდა მოვიძიოთ, მოვიპოვოთ, რომ შევძლოთ ნელ-ნელა მოვუშუშოთ იარები კონფლიქტის შედეგად სულიერად დაღდასმულ ადამიანებს.

— კარგად ვიცი, ხეობების სოფლებს ძალიან უჭირთ. ომის გარდა, მათ მიწისძვრამდე დაუნერგია სახლები, ზოგი ოჯახი ისევ ვაგონებში, ან სასოფლდასული ფარდულებშია თავშეფარებული. სოფლებს არა აქვთ ელექტროენერგია, სასმელი წყალი. მძიმეა ახალგაზრდების სულიერი მდგომარეობა — უმუშეურობა, სიღატაკე გულს უგუბს მათ...

— ნამდვილად ასეა, მოსახლეობა სასმელად კეხვის წყალსადენის წყალს სვამს, რაც ფაქტობრივად, რისკის გოლფასია, რადგან წყალი გაუწმენდავ-გაუფილტრავია. ელექტროენერგიის სტაბილურად მიწოდებისათვის აუცილებელია მდინარე ლიახვზე კეხვის პიდროელექტროსადგურის აღდგენა, პირველი რიგის ამოცანაა მიწისძვრითა და კონფლიქტის შედეგად დანგრეულ-დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისა და აღმინისტრაციული შენობების აღდგენა-აშენება. უნდა ავაღორძინოთ სოფლის მეურნეობა. მიწები კი დარიგდა, მაგრამ



შესვლას და ლოცვას, ისინი ჩუმჩუმად მაინც ანთებდნენ სანთელს და პირჯვარსაც იწერდნენ.

ამის მიუხედავად, დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობას დღემდე მოქმედი ეკლესია არა აქვს და ამიგომ მოსანათლად, ჯვრის დასაწერად თუ წირვა-ლოცვაზე დასასწრებად, უმეტესად, ქალაქ ცხინვალის გაეღით, სოფელ ნიქოზის დიდებულ, უძველეს ეკლესიაში უწევთ სიარული.

ქერთელი ემბარ ელბაქიძე თემის გამგებლის, ნოდარ ყოჩიშვილის მეგობარია. ისინი ერთად საქმიანობენ ბიზნესშიც. სწორედ, ემბარის იდეა იყო ალედგინა მიწისძვრით დანგრეული ქერთის წმინდა სამების სახელობის ეკლესია. ამ მიზნით მეეენგამა უმურველად გიიღო თანხაც. მალე მათ ემბარის ძმა — როინიც შეუერთდა, სოფელიც მხარში ამოუდგა და... საპატრიარქოსთან მეთანხმებით,

ეკლესიაც აშენდა! აღსანიშნავია, რომ პროექტის ავტორია არქიტექტორი თენგიზ გაბუნია. წმიდა სამების ეკლესია ბაზილიკის გიპისაა, ერთნავიანი. ეზოს მთავარ, შესასვლელ ჭიშკარზე სამრეკლოა დაშენებული. ქვით მოპირკეთდა ეკლესიასთან მისასვლელი გზა, კეთილმოეწყო ეზო. თვითონ ახალი გაბარიც პირვანდელზე დიდი მოცულობისაა და საკმაო მრევლსაც დაიტევს.

თავდაუზოგავად, რწმენითა და სიყვარულით სულ აქ ტრიალებენ მშენებლები — გივი ბამ და ნიპილიმმმა ენთუზიაზმს და კარგ ინიციატივას! მე უკვე ვთქვი, რომ უპარგო კაცი ვარ. ახლა სერიოზულად ვფიქრობ და უკვე გადაწყვეტილი მაქვს, ახალ მოქალაქეთა კავშირში შევიდე. არ დავმალავ, რომ ამის სურვილი სახელმწიფო მინისტრის სტუმრობამ, პრობლემებისადმი მისმა საქმიანმა, სერიოზულმა მიდგომამ გამიჩინა. ეგ ვიდავწეს ჩემი მხარის კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის.

...პირბაღ თქვა ბაგონმა ნოდარმა, ცხინვალის რეგიონში მშვიდობისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ვიღვაწეთ. ეს ორი რამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახლა ამ კუთხისათვის. საქრთველოს ეკლესია ნამ ბერეაშვილმა თქვა: — დაკარგული რწმენა უნდა დაეუბრუნოთ ჩვენს ამომრჩეველებსო, უნდა მივხედოთ სოფლების დანგრეულ ეგზეს, მათ იერ-სახეს და მომავალსო.

ხოლო, ქურთის თემის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის, აპაკიძ კასრაძმს თქმით, სოფლის მეურნეობა არასახარბიელო მდგომარეობაშია. საკრებულოში შემავალი გერაგორია 6880 ჰექტარს მოიცავს. საიდანაც საფარგლებს 3940, სახნავს — 1965 ჰექტარი უკავია. სამოგალებრივ საკუთრებაში ხალის ბაღების მხოლოდ 40 ჰექტარია შემორჩენილი, დანარჩენი — პრივატიზებულია, სამეურეობა 3231 ჰექტარზეა გადაჭიმული ჯავის რაიონის სამაფეხულო საძოვრებზე.

ეს ნეგეგი ბაგონ ნოდარ ყოჩიშვილს ხელისუფლებაზე მოსვლაზე არასდროს უოცნებია. იგი დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ქურთაში, მშრომელ, პაგოსან ოჯახში დაბადა და გაიზარდა. რაც თავი ახსოვს, გარჯასა და სიკეთის ქმნაშია.

ჰყავს მეუღლე, — იდა კასრაძე და სამი შვილი. უპარგოია. 40 წელს ეს-ესაა გადაბიჯა და ცხინვალის მხარეში უკვე ერთ-ერთი სახელგანთქმული ადამიანია — ამ რამდენიმე წლის წინათ თავის მეგობრებთან ერთად წამოიწყო ბიზნესი და კარგადაც გაუძღვა. გამართლება ერთია, მაგრამ თავისი ალალი გულისა და ხელგაშლილი ბუნების გამო უფრო შეიყვარა მოსახლეობამ უდალაგო თანასოფელელი...

* * *

